ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 451

"13" სექტემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ათონელის ქ. №11/23-ში მდებარე 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.010.010) შპს „ამორატოსთვის" (ს/ნ. 404659856) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ათონელის ქ. №11/23-ში მდებარე 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.010.010) შპს „ამორატოსთვის" (ს/ნ. 404659856) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 27 აგვისტოს №24.1476.1660 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ათონელის ქ. №11/23-ში მდებარე 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.010.010) შპს „ამორატოსთვის" (ს/ნ. 404659856), ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე